



მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
სამმეთა მმართველობის გამოცემა

1933 წ. ივლისის 5.

№ 14

მუდრი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო წესობები

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

196. კალაქ ზონში საქალაქო საბჭოს დაარსების შესახებ.

202. კოლმეურნეთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების საღაროს დროებითი ტიპური წესდების დამტკიცების შესახებ.

197. ჩხარის რაიონში ღვანჯიეთის სასოფლო კაბჭოს მოწყობის შესახებ.

სანიმუშო წესდება (დროებითი) კოლმეურნეთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების საღაროს.

198. კვემო-სვანეთის რაიონში ხელდის სასოფლო საბჭოს მოწყობის შესახებ.

სახალხო მეურნეობის საერთო ხაკითხები

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

199. გამონაკონთა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა რეალიზაციის შესახებ.

203. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისა და საბინაო კოოპერაციის სისტემის საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა გაძლიერების შესახებ.

მ რ ე წ ე ე ლ ო ბ ა

200. საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს მოხსენებისა და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების თანამოხსენების გამო საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის მუშაობის შესახებ.


204. 1933 წლისათვის საბინაო მშენებლობის ღირებულების ლიმიტების შესახებ.

მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

201. ადგილობრივი საშენი მასალის ზღერული საგანაცემო ფასების შეცვლის შესახებ.

205. კინო-სურათისა და სურათის სერენარიუმსა, ლიბრეტოსა და თემაზე კონკრეტის გამოცემების შესახებ.





ქალაქ ზონში საქალაქო საბჭოს დაარსების შეხატვის შესახებ

სახელმწიფო

საქართველოს სსრ ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 64 მუხლის თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I.

1. ქალაქ ზონში, ამჟამად არსებული სასოფლო საბჭოს ნაცვლად, მოეწყოს საქალაქო საბჭო „ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების დებულებით“ გათვალისწინებულ საერთო საფუძველზე.

2. საქალაქო საბჭოს არჩევნებისათვის ქალაქ ზონში დაწესებულ იქნეს საარჩევნო ნორმა—ერთი დეპუტატი ყოველ 50 ამომრჩეველზე.

3. ამ დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ ზონის სასოფლო საბჭო დაიშალოს და მოხდეს საქალაქო საბჭოს არჩევნები საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციით გათვალისწინებული წესისამებრ.

II.

„ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების დებულების“ 1 მუხლი და 6 მუხლის 1-ლი ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-3 №-ი, მუხ. 18; 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 235; 1933 წ. მე-9 №-ი, მუხ. 112) შეიცვალოს შემდეგნაირად:

„1. ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები ქვემომდევნო მუხლებით გათვალისწინებულ საფუძველზე ეწყობა ქალაქ ტფილისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში (სტალინირი), ქუთაისში, ფოთში გორში, ხაშურში (სტალინისი), ბორჯომში, თელავში, კიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიიაში, ზონში, სენაკში, ზუგდიდში და ოზურგეთში.

შენიშვნა. ქალაქ სიღნაღში, დუშეთში, ახალციხეში, ახალქალაქში, ონიში, ოჩამჩირეში, გუდაუთში და გაგრაში ეწყობა სასოფლო საბჭოები სასოფლო საბჭოების შესახებ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე“.

„6. (ნაწ. 1) ქალაქის საბჭო ირჩევა შემდეგი ანგარიშით: ტფილისში—ერთი დეპუტატი 200 ამომრჩეველზე, ქუთაისში—ერთი დეპუტატი 150 ამომრჩეველზე, ბათუმში—ერთი დეპუტატი 100 ამომრჩეველზე, სოხუმში, ცხინვალში (სტალინირი), ფოთში, გორში, ხაშურში (სტალინისი), ბორჯომში, თელავში, კიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიიაში, ზონში, სენაკში, ზუგდიდში და ოზურგეთში—ერთი დეპუტატი 50 ამომრჩეველზე“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტაი.

1933 წ. მაისის 27.

ტფილისი.

197. დადგენილება ც.ა.კ.



ჩხარის რაიონში ღვანკითის სასოფლო საბჭოს მოწყობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს მოწყობილ იქნეს ჩხარის რაიონის შედგენილობაში ღვანკითის სასოფლო საბჭო, რომელსაც მიეკუთვნოს სოფელი ღვანკითი, ამ სოფლის იმავე ჩხარის რაიონის თერჯოლის სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან გამოყოფით.

სრ. საქ. ც.ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. უღენტაი.

1933 წ. მაისის 22.

ტფილისი.

198. დადგენილება ც. ა. კ.

ქვემო-სვანეთის რაიონში ხელედის სასოფლო საბჭოს მოწყობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

მოწყობილ იქნეს ქვემო-სვანეთის რაიონის შედგენილობაში ხელედის სასოფლო საბჭო—ცენტრით სოფ. ხელედაში და ამ სასოფლო საბჭოსათვის შემდეგი სოფლების მიეკუთვნებით: ბაუარია, საჩხე, ფაქი, ცხომალი, ცანაში, ხელედა და ჯუღარი, რომლებიც გამოიყოს ამავე რაიონის ლენტეხის სასოფლო საბჭოს სოფლების შედგენილობიდან.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. უღენტაი.

1933 წ. მაისის 22.

ტფილისი.

სახალხო მუშრნეობის საერთო საკითხები

199. დადგენილება ს.კ.ს.

გამონაგონთა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა რეალზაციის შესახებ.

მიუხედავად პარტიისა და მთავრობის მთელი რიგი სპეციალური გადაწყვეტილებების და ღირებულებებისა გამონაგონთა და რაციონალიზატორულ წინადადებათა რეალიზაციის თაობაზე, მაინც მთელი რიგი სამეურნეო, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები სათანადოდ არ აფასებენ მუშათა მასურ გამომგონებლობას, რაც გამომდინარეობს „კლასობრივ მტრულად განწყო-

ბილი ელემენტების მკვლევარებიდან და სამეურნეო, საპროფკავშირო და პარტიული ორგანიზაციების შეუწყნარებელ ინერტობიდან, სრული უპასუხისმგებლობიდან და მათ მიერ იმის შეუფასებლობიდან, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მასურ გამომგონებლობას ახალი ტექნიკის შექმნის საქმეში, რაც უზარმაზარ ჰყოფს სსრ კავშირში შრომის ნაყოფიერების ზრდას, და რაც კაპიტალიზმის პირობებში არ ნახულა“ (სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წ. ოქტომბრის 23-ის დადგენილებიდან.)

გადამწყვეტი ვარდატების მოსახდენად ამ საკითხში და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მაისის 17-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დადასტურებულ იქნეს ლონისძიებანი, რასაც გამონავონთა რეალიზაციის თვიურის წესით ანზორციელებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გამომგონებლობის საქმეთა კომიტეტი საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ყველა სამეურნეო სახალხო კომისარიატს, შენაერთს, ტრესტს, კოოპერატიულ ცენტრს და საზოგადოებრივ ორგანიზაციას:

ა) უზრუნველყოს დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე გამონავონთა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა რეალიზაცია, რისთვისაც გამოყოს თვითელი მსხვილი გამონავონისა და ტექნიკური გაუმჯობესების განხორციელებებისათვის პასუხისმგებელი პირი და დაამყაროს რეალიზაციის საკალენდრო გეგმები;

ბ) წარმართოს უაღრესად მნიშვნელოვანი გამონავონი და ტექნიკური გაუმჯობესება, რაც იძლევა შესაძლებლობას გამოყენებულ იქნეს ახალი სახის პროდუქცია, შემცირდეს იმპორტი ან გაფართოვდეს ექსპორტი, არსებითად გაუმჯობესდეს პროდუქციის თვისება და შემცირდეს ხარჯები 100,000 მან. მეტად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გამომგონებლობის საქმეთა კომიტეტის განსაკუთრებულ კონტროლ ქვეშ.

მიენდოს აღნიშნულ კომიტეტს: ა) იმ გამონავონთა და ტექნიკურ გაუმჯობესებათათვის, რომელნიც მის განსაკუთრებულ კონტროლს ექვემდებარებიან, დააწესოს მუდმივი ზედამხედველობა ამ გამონავონთა და გაუმჯობესებათა საჩქაროდ წარმოებაში წასაწევად და გამოსაყენებლად; ბ) ის გამონავონი, რომელნიც 100,000 მან. მეტ ეკონომიას იძლევიან, აცნობოს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ გამომგონებლობის საქმეთა კომიტეტს.

3. კატეგორიული წინადადება მიეცეს სახალხო კომისარიატებს, უწყებებს და კოოპერატიულ ცენტრებს—დაუყოვნებლივ და სავსებით განხორციელონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მარტის 23-ის დადგენილება „გამომგონებლობის ორგანიზების შესახებ“.

მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემოწმებულ კომისიას—შეამოწმოს ერთი დეკადის ვადაზე ამა დადგენილების აღსრულება.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს-თან არსებულ გამომგონებლობის საქმეთა კომიტეტს მოახსენოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს იელისის 1-ისა გამოგონებლობის რეალიზაციის თვიურის შედეგები.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგილე ა. უოჟაკაშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. მაისის 10.

ტფილისი.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

200. დადგენილება ც. ა. კ.

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს მოხსენებისა და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების თანამოხსენების გამო საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის მუშაობის შესახებ.

მოისმინა რა საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს მოხსენება და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების თანამოხსენება სარეწაო კოოპერაციის მუშაობის შესახებ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში აღგენს:

I.

1. თუმცა საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის სისტემამ, რომელმაც გარდაქმნა თავისი მუშაობა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის იელისის 23-ის დადგენილებისა (სსრკ-ის კან. კრ. 1932 წ. 57 №-ი, მუხ. 340) და ამ დადგენილების განსავითარებლად გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის აგვისტოს 23-ის დადგენილების საფუძველზე (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 21 №-ი, მუხ. 192), მიიღწია განსაზღვრულ შედეგებს, კერძოდ ფართო მოხმარების საგნების წარმოების საწარმოო გეგმების შესრულებისა და გადამეტებით განხორციელებისა, წარმოებათა სპეციალიზაციის ჩატარებისა, ქვედა რგოლების სამეურნეო დამოუკიდებლობის და ინიციატივის უზრუნველყოფისა, სარეწაო კოოპერაციისა და სახელმწიფო მრეწველობის და ვაჭრობის სამეურნეო კავშირის შედარებით გაუმჯობესების და სამეურნეო და პოლიტიკური კამპანიების ჩატარებისათვის წარმოებულ მუშაობაში არტელების ჩაბმის სფეროში, მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად უნდა აღინიშნოს მთელი რიგი მნიშვნელოვანი დეფექტები.



ეს დეფექტები უმთავრესად შემდეგში გამოიხატება:

ა) სარეწაო კოოპერაციის სისტემის წარმოებანი ჯერ კიდევ არაა დადგენილი საფუძვლიანი ანგარიშზე;

ბ) სპეციალიზებული სადარგო კავშირები და სარეწაო კოოპერაციის საბჭო საკმარის და სწორ ხელმძღვანელობას ვერ უწყევენ სარეწაო კოოპერაციის ქვედა რგოლებს, განსაკუთრებით უტილნიდლეულის დამზადებისა და მრეწველობასთან და საკოლმეურნეო სისტემასთან მუდმივი სამეურნეო კავშირის დამყარების სფეროში;

გ) სარეწაო კოოპერაციის სისტემის რეორგანიზაციის შემდეგ შესუსტდა არტელების წევრების კულტურულ-მასური და საყოფაცხოვრებო მომსახურება:

დ) თითქმის სრულიად არ ტარდება საწარმოო არტელების გეგმიანი მონარაგება ნედლეულით, ნახევარ-ფაბრიკატებით და დამზადრე მასალით;

ე) საკმარისი ყურადღება არ ექცევა არტელების საწარმოო ინიციატივის და საკუთარი სანედლეულო ბაზის შექმნის საკითხებს;

ვ) სარეწაო კოოპერაციის საბჭო და სადარგო კავშირები ვერ ანხორციელებენ არტელების პროდუქციის სავასაცემო ფასების საკმარისად მტკიცე და ზუსტ რეგულირებას, რაც ხელს უწყობს ამ ფასების გადიდებას; არ სწარმოებს გადამწყვეტი და ზღვომბელი ბრძოლა ამჟამად სპეკულაციასთან, რაც შემჩნეულია სარეწაო კოოპერაციის სისტემის ცალკეულ რგოლებში.

2. აღინიშნოს, რომ, მიუხედავად სსრ კავშირის, ა/კსფსრ-ის და საქართველოს სსრ-ის მთავრობების მთელი რიგი დირექტივებისა და დადგენილებებისა, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებენ სარეწაო კოოპერაციის როლსა და ამოცანებს სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე ეტაპზე, და მრავალ შემთხვევაში არა თუ ვერ უზნუნეღვყოფენ სარეწაო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციების მუშაობას საკურო საერთო ხელმძღვანელობით და დახმარებით, არამედ პირდაპირ ხელს უშლიან ამ ორგანიზაციების ნორმალურ მოქმედებას და მათი სამეურნეო ინიციატივის გაშლას (არტელების გამოსახლება იმ სადგომებიდან, რაც მათ მოცემული აქვთ საწარმოოსავაქრო მიზნებისათვის, უარის თქმა სათანადო მიწის ნაკვეთების და სადგომების მიცემაზე, არტელებისათვის კანონით დადგენილი შეღავათების წართმევა, უკანონოდ დაბეგვრა ფულით და სხვ.).

II.

სარეწაო კოოპერაციის მუშაობაში ყველა აღნიშნული ნაკლისა და დეფექტის თავიდან ასაცილებლად და აგრეთვე ამ მუშაობის გასაუმჯობესებლად და განსამტკიცებლად:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ-ის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრუ-

ლიელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს:

ა) უზრუნველყონ, რომ საეხებით განხორციელდეს სარეწაო კოოპერაციის არტელებისათვის მომჭმედი კანონებით მინიჭებული უფლებანი, შეღავათები და უპირატესობანი, კერძოდ ნედლეულის თვითდამზადებისა და მუშაობის სათანადო ჰირობების შექმნის სფეროში, აგრეთვე საგადასახადო და კოოპერაციის მომსახურების შეღავათები და სხვა;

ბ) უზრუნველყონ, რომ სარეწაო კოოპერაციის ორგანიზაციებსა და სახელმწიფო და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს, საბჭოთა მეურნეობებს და კოლმეურნეობებს შორის დამყარდეს ნეიდრო სამეურნეო კავშირი, რათა ამ გზით გამოყენებულ იქნეს უტილი და მრეწველობის ნარჩენები ფართო მონარების საგნების წარმოების გასაშლელად;

გ) ყოველგვარი დახმარება გაუწიონ სარეწაო კოოპერაციის, საწარმოო არტელებს საკუთარი სანედლეულო ბაზისა და დამხმარე სახსრების შექმნის საქმეში;

დ) შეისწავლონ და გააჯანსაღონ სარეწაო კოოპერაციის სისტემის ქვედა რგოლების სოციალური შედგენილობა, რისთვისაც ეს რგოლები უნდა გაიწმინდოს კლასობრივად უცხო და სპეკულანტური ელემენტებისაგან, გაიწმინდოს მათში საორგანიზაციო-სამასო მუშაობა (დეპუტატთა ჯგუფების და მუშაობა და ვლებთა ინსპექციის პოსტების ორგანიზაცია, საბჭოების სასექციო მუშაობაში ჩაბმა და სხვ.), შეიქმნას საწარმოო აქტივი და მოხდეს მისი მობილიზაცია საწარმოო გეგმების შესრულებისა და გადამეტებით განხორციელების საკითხების გარშემო და აგრეთვე სხვა დაეალებების გარშემო სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიების ზახით;

ე) საეხებით განხორციელონ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის მაისის 23-ის დადგენილება „სარეწაო კოოპერატიულ ამხანაგობებში (არტელებში) საწარმოო-საამხანაგო სასამართლოების მოწყობის შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1932 წ. 15 №-ი, მუხ. 125);

ვ) უზრუნველყონ კონტროლი იმისათვის, რომ ზუსტად და საეხებით განხორციელდეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის აპრილის 26-ის თარიღისა და 833 №-ის დადგენილება „სარეწაო კოოპერაციის და ინვალიდთა კოოპერაციის პროდუქციის ფასების შესახებ“ (სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის „იზვესტია“ № 110 1933 წ. აპრილის 27-ისა), და იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიება სარეწაო არტელების პროდუქციის საგასაცემო ფასების გაბერვის და ამ არტელებში სპეკულაციის გამობატულების წინააღმდეგ;

ზ) გაძლიერებული ზედამხედველობა გაუწიონ იმ სარეწაო ამხანაგობების და არტელების მომჭმედას, რომელნიც სარეწაო თუ საინვალიდო კოოპერა-

ციის სისტემაში არ შედიან („გარეული“ არტელები), და გაშალონ უაღრესად გადამწვევტი ბრძოლა სპეკულაციის წინააღმდეგ ამ ორგანიზაციებში.

2. დაევალოს საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს:

ა) იხმაროს გადამწვევტი ღონისძიებანი, რათა სარეწაო კოოპერაციის სისტემის წარმოებითი საწარმონი სავსებით იქნენ დატვირთული; და რათა ეს საწარმონი უზრუნველყოფილ იყვნენ როგორც სავსებო სანედლეულო ფონდებით, ისე ნედლეულით თვითღამზადების წესისამებრ;

ბ) იხმაროს სათანადო ღონისძიებანი ადგილობრივი საშენი მასალის წარმოებაში არსებული ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის დი უზრუნველყოს ამ სფეროში წლიური საწარმოო გეგმის სავსებით შესრულება;

გ) დაუყოვნებლივ დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი იმისათვის, რომ გამოუმუშავების წორმები მიმდინარე წელს, 1932 წელთან შედარებით, გააღრმადეს საშუალოდ 11.6 %-მდე და პროდუქციის თვითღირებულება შემცირდეს საშუალოდ არა ნაკლებ, ვიდრე 3.3%-ით; ამ მიზნით გააუმჯობესოს საწარმოო თათბირების მუშაობა, განამტკიცოს არტელის წევრების შრომის დისციპლინა შრომის სოციალისტური მეთოდების გამოყენებით და შრომის ხელფასის პროგრესიულ-პრემიალური სანარდო სისტემის შემოღებით, მიაღწიოს წუნდებული პროდუქციის სავსებით მოსპობას;

დ) იხმაროს ღონისძიებანი სარეწაო კოოპერაციის საცალო ვაჭრობის განვითარებისათვის (განსაკუთრებით სოფლად და კოლმეურნეობებში) და ფასების საბჭოთა პოლიტიკის მტკიცედ დაცვისათვის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოხსენებული 1933 წლის აპრილის 26-ის თარიღისა და 833 №-ის დადგენილების საფუძველზე;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სარეწაო კოოპერაციის სისტემის ქვედა რგოლების სოციალური შედგენილობის გაჯანსაღებას, რისთვისაც გაიწმინდოს ეს რგოლები კლასობრივად უცხო და სოციალურად მანერვლემენტებისაგან, და მოაწიოს უაღრესად გადამწვევტი ბრძოლა საზოგადოებრივი საკუთრების მტაცებლობასთან, წამგლეჯაობასთან და სპეკულაციასთან და სხვ.;

ვ) სარეწაო კოოპერაციის სისტემის შინაგანი რესურსების სრული მობილიზაციის მიზნით, მიაღწიოს იმას, რომ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში დამთავრდეს საუბეიტორო დავალიანების ლიკვიდაცია და მინიმუმამდე შემცირდეს საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯები, უზრუნველყოს ფაქტიურად სამეურნეო ანგარიშის გატარება სისტემის ყველა რგოლურულში, გააძლიეროს საწარმოო პროცესების რაციონალიზაცია და სხვ.;

ზ) გააძლიეროს საწარმოო არტელებისათვის ცოცხალი ინსტრუქტაჟის და ხელმძღვანელობის გაწევა და იხმაროს ღონისძიება, რომ თვითველ სისტრუქტორის დატვირთვა უდრიდეს არა უმეტეს 15-20 ორგანიზაციას;

თ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მუშაობას საწარმოების საშუალებათა განსაზოგადოებისათვის სარეწაო კოოპერაციის სისტემის საწარმოებ-

ში, განსაკუთრებით საფეიქრო მრეწველობასა და სატრანსპორტო საწარმოში, თანაც ვაშალოს ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია ამ საკითხის გაქვეყნებაში და მხედველობაში მიიღოს წარმოების საშუალებათა სპეციფიური თავისებურებანი და მდგომარეობა;

ი) ვაშალოს მუშაობა არაორგანიზებულ შინამრეწველთა და ხელოსანთა შორის იმ მიზნით, რომ ისინი ჩაბმულ იქნენ კოოპერატიულ საწარმოო შენაერთებში; ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მეურნეობათა მეორე წვერებისა და შინამრეწველ-კოლმეურნეების კოოპერირებას;

კ) დაამთავროს სარეწაო კოოპერაციის ქვედა რგოლების გამსხვილება და მომავალში ეს გამსხვილება განახორციელოს უმთავრესად არტელებში ახალი წვერების ჩაბმით და საწარმოთა გაფართოებით;

ლ) გააუმჯობესოს საწარმოო კადრების მომზადებისა და გადამზადების საქმე სარეწაო კოოპერაციის ძირეულ რგოლებში.

მ. რათა მთავრობის უმაღლესმა ორგანოებმა ნამდვილად განახორციელონ საერთო ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევა სარეწაო კოოპერაციის განვითარების საქმეში, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებობდეს სპეციალური ორგანო—სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტი იმ ფუნქციებით, რაც გამომდინარეობს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 31-ის თარიღისა და 847 №-ის დადგენილებიდან (სსრკ-ის კან. კრ. 1932 წ. 43 №-ი, მუხ. 257).

ამისდამიხედვით, დაისვას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე საკითხი აღნიშნული კომიტეტის აღდგენის შესახებ, რომელიც გაუქმებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის იანვრის 28-ის დადგენილებით „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აღდგომბრივი მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციის, ინვალიდთა კოოპერაციის და საშინამრეწველო სარეწაოების დაგეგმვისა, საერთო რეგულირებისა და აღნუსხვის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-5 №-ი, მუხ. 71).

4. რადგან საერთო საკავშირო კანონმდებლობით დაწესებული წლიური ვადა სავადასახადო შეღავათების მოქმედების ახლად მოწყობილი სარეწაო კოოპერატიული ამხანაგობებისა და არტელებისათვის, რომელნიც სარეწაო კოოპერაციის სისტემაში არ შედიან, ჰქმნის ფართო შესაძლებლობას, რომ საარტელო ფორმა გამოყენებულ იქნეს კერძო კაპიტალის და სპეკულანტების მიზნების დასაფარავად, ეთხოვოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს—აღძრას საერთო საკავშირო უმაღლესი ორგანოების წინაშე შეამდგომლობა, რათა „პირველი საფეხურის კოოპერატივებისათვის შეღავათების შეფარდებისა და უპირატესობათა მინიჭების წესის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის აგვისტოს 7-ის დადგენილების (სსრკ-ის კან.

კრ. 1929 წ. 51 №-ი, მუხ. 452) მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვადა შემცირებულ იქნეს 3 თვემდე.

5. წინადადება მიეცეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოსთან და მსუბუქი მრეწველობის და მომარაგების სახალხო კომისარიატებს:

ა) უზრუნველყონ სარეწაო კოოპერაციის მომარაგება საგვეგმო ნედლეულით ამ კოოპერაციისათვის დამტკიცებული კონტინგენტებისა და ნორმების თანახმად;

ბ) დაევალოს ქვემდებარე ტრესტებს და საწარმოებს, რათა მათ გადასცენ სარეწაო კოოპერაციის საწარმოთ არტელებს უტილი და ნაწარმოების ნარჩენი სსრ კავშირის სახალხო კომისარიატის საბჭოს 1933 წლის აპრილის 26-ის თარიღისა და 833 №-ის დადგენილების 12 მუხლით დაწესებული ფასებით, და მისცენ დირექტივა ამ ტრესტებსა და საწარმოებს იმის შესახებ, რომ უტილის ცეხების მოწყობა, როგორც საერთო წესი, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უტილსა და ნარჩენს სარეწაო კოოპერაცია ვერ იყენებს.

6. აღიძრას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის წინაშე (საქართველოს სსრ-ში) საკითხი ნედლეულის დამზადებათა რაიონების სარეწაო კოოპერაციისათვის გამოყოფის შესახებ „სარეწაო კოოპერაციის მუშაობისა და საორგანიზაციო ფორმების გარდაქმნის თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისარიატის საბჭოს 1932 წლის ივლისის 23-ის დადგენილების პირველი კარისა და „არამარცვლელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა ორგანიზაციის და ადგილობრივი საკონვენციო ბიუროების მუშაობის თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისარიატის საბჭოს 1932 წლის დეკემბრის 25-ის თარიღისა და 1903 №-ის დადგენილების თანახმად (სსრკ-ის კან. კრ. 1932 წ. 57 №-ი, მუხ. 340; 84 №-ი, მუხ. 520).

7. აღიძრას საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოსთან არსებული სათბობ მასალათა კომიტეტის წინაშე საკითხი სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა სათბობი მასალით მომარაგების საქმის მოწესრიგების შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თვემჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1933 წ. მაისის 23.

ტფილისი.

მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

201. დადგენილება ს. კ. ს.



ადგილობრივი საშენი მასალის ზღვრული საგასაცემო ფასების შეცვლის შესახებ.

„1933 წელს ადგილობრივი საშენი მასალის წარმოების გაფართოებისა და გაიაფების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მარტის 21-ის დადგენილების მე-4 მუხლის შესაცვლელად (კან. კრ. 1933 წ. № 10, მუხ. 129; „კომუნისტი“ 1933 წ. აპრილის 2-ისა № 76) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი ზღვრული საგასაცემო ფასები ფრანკო-ქარხანა—საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ადგილობრივი საშენი მასალის მწარმოებელ საწარმოთათვის:

აგური 70 მან. 1.000 ცალი
საყორე ქვა 5 „ 1 კუბ. მეტრი

2. დროებით, აფხაზეთის სსრ საწარმოთა ადგილობრივი საშენი მასალის ზღვრული საგასაცემო ფასების გადასინჯვამდე, დატოვებულ იქნეს ამ საწარმოთათვის ზღვრული ფასები: აგურისა 80 მან. 1.000 ცალზე და საყორე ქვისა— 6 მან. და 50 კაპ. 1 კუბ. მეტრზე.

3. აგურის ზღვრული ფასის 20%-ანი ზედნართი იმ საწარმოთა პროდუქციისათვის, რომელნიც კურა-ლემელეებით მუშაობენ, ძალაში რჩება.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ა. უოფიკაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. მაისის 17.
ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

202. დადგენილება ს. კ. ს.

კოლმეურნეთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების საღაროს დროებითი ტიპური წესდების დამტკიცების შესახებ.

დროებით, ვიდრე—„კოლექტიურ მეურნეობათა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების საღაროების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1932 წ. თებერვლის 1-ლის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. მე-9 №ი, მუხ. 51)—დამტკიცდებოდეს კოლექტიურ მეურნეობათა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების საღაროს ტიპური წესდება, დამტკიცებულ და სამოქმედ-



დოდ შემოღებულ იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ქვემოზღვევო დროე-
ბითი ტიპური დებულება კოლმეურნეთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების
სალაროს შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგილე ა. უოტიკაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. მაისის 27.

ტფილისი.

სანიშნო წესდება

(დროებით)

კოლმეურნეთა საზოგადოებრივ საურთიერთო დახმარების სალაროს.

I. ზოგადი დებულებანი.

1. კოლმეურნეთა შორის საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების გან-
ვითარებისა, არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და წარმოების კოლექ-
ტიურ ფორმებზე მოჯამაჯირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა შემდგომი
გადასვლისათვის ხელის შეწყობის მიზნით არტელში
(კომუნაში) არსდება კოლმეურნეთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების
სალარო.

2. სალარო არსდება ნებაყოფლობის საფუძველზე კოლმეურნეობის უფლება-
მოსილი საერთო (სადელეგატო) კრების დადგენილებით, რაც მიღებულია კოლ-
მეურნეობის დამსწრე წევრთა მარტვი უმეტესობის ხმით. ასეთი დადგენილების
მიღებისათანავე კოლმეურნეთა საურთიერთო დახმარების სალარო დაარსებუ-
ლად ითვლება, და კოლმეურნეობის ყველა წევრი სალაროს წევრად შედის.

სალარო, როგორც საერთო წესი, მოეწყობა ყოველ კოლმეურნეობასთან,
ხოლო უკეთეს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე რამდენიმე კოლმეურნეობაა,
კოლმეურნეობათა წევრების საერთო (სადელეგატო) კრების დადგენილებით შე-
იძლება დაარსებულ იქნეს გაერთიანებული სალარო, რომელიც მომსახურეობას
გაუწევს სასოფლო საბჭოს ფარგლებში არსებულ ყველა კოლმეურნეობის წევ-
რებს.

3. სალარო კოლმეურნეთა დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანი-
ზაციაა და თავის ვალდებულებათათვის პასუხისმგებელია მთელი თავისი ქონე-
ბით. სალარო არავითარ პასუხს არ აგებს კოლმეურნეობის ვალებისა და ვალ-
დებულებებისათვის ისევე, როგორც კოლმეურნეობა პასუხისმგებელი არ არის
სალაროს ვალებისა და ვალდებულებებისათვის.

II. სალაროს ამოცანები.

4. კოლმეურნეთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალარო
მოეწყობა თავის წევრთათვის დახმარების გასაწევად იმ შემთხვევაში, როდესაც
მათ სხვადასხვა მიზეზების გამო (კოლმეურნეობაში მუშაობის დროს დაშავება,
ორსულობა და მშობიარობა, ავადმყოფობა, შრომის უნარის მყარი და ხან-

გრძლივი დაკარგვა, ოჯახის მომუშავეის სიკვდილი და სხვა) არ შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა წარმოებაში და საზოგადოებრივი დახმარება ესაჭიროებათ.

5. დახმარების სახეს და რაოდენობას და აგრეთვე მისი აღმოჩენის წესს განსაზღვრავს საერთო (სადელეგატო) კრება იმის მიხედვით, თუ რა სახსრები აქვს სალაროს და რამდენად გაჭირვებულია სალაროს წევრი.

6. შემწეობა სალაროს წევრებს შეიძლება აღმოეჩინოს, როგორც ნატურალური და ფულადი (დასაბრუნებელი, დაუბრუნებელი) დახმარების მიცემით, ისე ინვალიდ-კოლმეურნეთა შრომის მოწყობით და კვალიფიკაციის წარმატებით, აგრეთვე საზოგადოებრივი შრომითი დახმარების მოწყობით.

7. საურთიერთო დახმარების სალარომ ხელი უნდა შეუწყოს შრომის დისციპლინისა და შრომის ნაყოფიერების წარმატებას კოლმეურნეობაში.

სალაროს იმ წევრებს, რომელნიც სისტემატურად არღვევენ შრომის დისციპლინას კოლმეურნეობაში, უყარათოდ ეპყრობიან კოლმეურნეობის ქონებას, მუშა-საქონელს და ინვენტარს, აგრეთვე უსაფუძვლოდ უარს ამბობენ მათი ძალღონის შესაფერი დავალებული მუშაობის შესრულებაზე, სალარო დახმარებას არ აღმოუჩენს.

8. სალარო მიზნად უნდა ისახავდეს, რომ სალაროს არც ერთი წევრი, ავადმყოფი თუ ინვალიდი, რომელსაც ოდნავ მაინც შერჩენია შრომის უნარი და, თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით, შეუძლიან შეასრულოს რაიმე სასარგებლო სამუშაო, უსაქმოდ არ დარჩეს.

ამისდაშესაბამისად სალარო შეიმუშავებს ღონისძიებას ინვალიდების შრომის სრული და მიზანშეწონილი გამოყენებისათვის კოლმეურნეობაში და მათი კვალიფიკაციის წარმატებისათვის, როგორც არის: საწარმოო სახელოსნოებასა, ბოსტნებისა, წვრილი მეცხოველეობის საწარმოთა და სხვა მისთ. მოწყობა, და შეიტანს საამისო წინადადებას კოლმეურნეობის გამგეობაში, მასთან ერთად განსაზღვრავდად. სათანადო ღონისძიებებს განხორციელებს კოლმეურნეობის გამგეობა და სალარო მიიღებს ამაში მონაწილეობას თავისი სახსრით.

სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების დავალებით სალარო, კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად, აწარმოებს კოლმეურნეობის ინვალიდ წევრების შერჩევას და გავაზენას პროფესიონალურ-ტექნიკურ სკოლებში, სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში, ამა თუ იმ საწარმოში, არტელში და საშეგირდოდ, და, სათანადო შემთხვევაში, სალარო მონაწილეობას მიიღებს თავისი სახსრით აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო ხარჯებში.

9. იმ ინვალიდების მოთავსებისა და შენახვისათვის, რომლებსაც სჭირდებათ სხვისი მოვლა, სალაროს შეუძლიან, კოლმეურნეობის გამგეობასთან შეთანხმებით და სხვა სალაროებთან შეპირებით, მოაწყოს და შეინახოს ინვალიდთა და ღრმამოხუცთა სახლები.

10. საჭირო შემთხვევაში სალარო, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებთან შეთანხმებით, დახმარებას გაუწევს თავის წევრებს პროტეზების მიცემით.

11. სოციალურა უზრუნველყოფის ორგანოების მინდობილობით მათ მიერ სპეციალურად გადადებულ სახსრიდან საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალარო აძლევს პენსიას და დახმარებას სალაროს იმ წევრებს, რომელთა დახმარებას ნიშნული აქვთ სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა (ომის ინვალიდები, მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში გაწვეულთა ოჯახები და სხვა).

III. სალაროს სახსარი.

12. სალარო მოეწყობა სალაროს კოლმეურნე-წევრთა საკუთარი სახსრით, რომელთაც შეაქვთ შესასვლელი გამოსაღები საერთო (სადელეგატო) კრების დადგენილებსამებრ განსაზღვრული რაოდენობით, და ყოველწლიური პროცენტული ანარიცხი სალაროს თვითველი კოლმეურნე-წევრის შემოსავლისა, რასაც მიიღებს იგი როგორც კოლმეურნეობაში, ისე კოლმეურნეობის გარეშე; ანარიცხების რაოდენობას ყოველ წელს განსაზღვრავს სალაროს წევრთა საერთო (სადელეგატო) კრება.

ამის გარდა, სალაროს სახსარს შეადგენს:

ა) ანარიცხი კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ფონდებიდან ისეთი რაოდენობით, რაც დაწესებულ იქნება კოლმეურნეობის წევრთა საერთო (სადელეგატო) კრების მიერ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-11 §-ის თანახმად;

ბ) კაპიტალი, ნატურალური ფონდები და ქონება, რაც გადაეცემა სალაროს ლიკვიდირებული გლეხთა ურთიერთი დამხმარე საზოგადოებიდან;

გ) სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ გადაცემული თანხები;

დ) უპატრონო, ბეითალმანი და სასამართლო და სადამინისტრაციო წესით კონფისკებული ქონება—განსაკუთრებული დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ;

ე) სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების გადაწყვეტილებებით გადახდებიანებული ჯარიმები და სხვა თანხები;

ვ) დანარჩენი სხვა შემოსავალი (მიზნობრივი, საზოგადოებრივი ხვნისა და სხვ.).

შენიშვნა. სალაროს წევრების მიერ სალაროში შეტანილი გამოსაღები არ დაიბრუნება.

13. სალაროში შესული სახსრით შეიქმნება სათადარიგო კაპიტალი არა ნაკლებ, ვიდრე ყველა შემოსავლის 5%.

სათადარიგო კაპიტალში ანარიცხების გადადება მოისპობა მის შემდეგ, რაც იგი მიადწევს სალაროს მთელი წლიური გასავლის 30%-ს.

სალაროს დანარჩენი სხვა სახსარი შეადგენს ოპერატიულ ფონდს, რომელიც იხარჯება ყოველგვარ დახმარებაზე, რაც განსაზღვრულ იქნება სალაროს წევრთა საერთო (სადელეგატო) კრების დადგენილებით.

სალაროს კაპიტალები და ფონდები იხარჯება საგეგმო წესით სალაროს წევრთა საერთო (სადელეგატო) კრების მიერ დამტკიცებული წლიური გეგმების მიხედვით.

სალაროს ყველა სახსარი ინახება სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებში და შემნახველ სალაროებში.

საქართველოს
საინჟინერო-საგეოდეზიური
სამსახური

IV. სალაროს წევრთა და თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობანი.

14. სალაროს წევრად ითვლება კოლმეურნეობის ყველა წევრი, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი. კოლმეურნეობაში მიღებული პირნი ჩაირიცხებიან იმავე დროს სალაროს წევრებადაც.

ის პირი, რომელსაც 18 წელი არ შეჰსრულებია, არ შეიძლება არჩეულ იქნეს სალაროს მმართველობისა და საკონტროლო ორგანოებში.

15. სალაროს მონაწილე ვალდებულია თავის დროზე შეიტანოს ხვედრი გამოსაღები, ანარიცხი და დასაბრუნებელი სესხი, შეასრულოს საერთო (სადელეგატო) კრების მიერ დაკისრებული საზოგადოებრივი დავალება, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცებას, დაიცვას წესდება და შეასრულოს სალაროს და საერთო (სადელეგატო) კრებისა და გამგეობის ყველა კანონიერი დადგენილება და განკარგულება.

16. სალაროს იმ მონაწილეს, რომელსაც თავის დროზე არ შეუტანია სათანადო გამოსაღები ან თავისი მოქმედებით მიუყენებია ზიანი სალაროს ინტერესებისათვის, სალაროს გამგეობის დადგენილებით, შეიძლება შეეფარდოს საზოგადოებრივი ზეგავლენის ღონისძიებანი ან მოესპოს განსაზღვრული ვადით ყოველგვარი ან ამა თუ იმ სახის ზოგიერთი დახმარება.

უკეთუ ზემოაღნიშნული ღონისძიებების შეფარდებას საურთიერთო დახმარების სალაროს იმ წევრისათვის, რომელიც გამოსაღებს ბოროტულად არ იხდის, ან მოჰყვა სათანადო შედეგი, კოლმეურნეობის წევრთა საერთო (სადელეგატო) კრების დადგენილებით სალაროში შესატანი გამოსაღების გადახდა შეიძლება დაეკისროს კოლმეურნეობის გამგეობას იმ თანხებიდან, რაც აღნიშნულ წევრს კოლმეურნეობისაგან ერგება.

17. საურთიერთო დახმარების სალაროების თანამდებობის პირნი მათთვის მინდობილი საქმისადმი უყარაათო და დაუდევარი მოპყრობისათვის, სალაროს სახსრის უწყსოდ ხარჯვისათვის და სხვა უკანონო მოქმედებისათვის პასუხს აგებენ ისე, როგორც სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა თანამდებობის პირნი.

18. სალაროს ყველა წევრს, 18 წლისაზე უფროსს, რომელსაც საბჭოთა საარჩევნო უფლება აქვს, შეუძლიან მიიღოს მონაწილეობა სალაროს წევრთა საერთო (სადელეგატო) კრებაში გადამწყვეტი ხმით, როგორც პირადად, ისე არჩეული დელეგატების მეშვეობით. მას აქვს აგრეთვე უფლება აირჩიოს და არჩეულ იქნეს სალაროს მმართველობის ორგანოებში, სარევიზიო კომისიაში და სხვა თანამდებობაზე.

19. სალაროს ის წევრი, რომელიც გაწვეულია წითელ არმიასში, მივლინებულია საბჭოთა, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ თუ პარტიულ სამუშაოზე ან

წარგზავნილია სასწავლებელში, ან და გასულია გარე სამუშაოზე, დარჩება სა-
ლაროს მონაწილედ, უკეთუ განაგრძობს კოლმეურნეობის წევრობას.
კოლმეურნეობიდან გამოირიცხული პირი გამოირიცხება აგრეთვე სალაროს
წევრობა რიცხვიდანაც.

V. სალაროს მმართველობისა და რევიზიის ორგანოები.

20. სალაროს მმართველობის ორგანოებია სალაროს საერთო (სადლე-
ვატო) კრება და გამგეობა, ხოლო საკონტროლო ორგანო — სალაროს სარევი-
ზიო კომისია.

ა. საერთო (სადლევატო) კრება.

21. სალაროს წევრობა საერთო კრება განაგებს სალაროს საქმეებს. უკეთუ
საერთო კრების მოწვევა საქმელოა სალაროს წევრობა მრავალრიცხოვანობის
გამო ან სოფლების შორი-შორს ყოფნის გამო, საერთო კრება შეიცვლება სა-
დლევატო კრებად.

22. საერთო (სადლევატო) კრება სალაროს მმართველობის უმაღლესი
ორგანოა. იგი გადასწყვეტს სალაროს მოქმედების უდიდეს საკითხებს, განსაზ-
ღერავს კოლმეურნეობა გამოსაღების რაოდენობას, აირჩევს გამგეობას და სარე-
ვიზიო კომისიას და დაამტკიცებს მათი მუშაობის ინსტრუქციას.

საერთო (სადლევატო) კრება უფლებამოსილია ითვლება, უკეთუ მას და-
ესწრო არა ნაკლებ, ვიდრე სალაროს ყველა წევრობა (დლევატო) ნახევარი-
რიცხვი. საერთო (სადლევატო) კრებას გამოაქვს გადაწყვეტილება ხმის მარ-
ტივი უმეტესობით. ხმა მიეცემა ახლილად.

ბ. სალაროს გამგეობა.

23. სალაროს გამგეობა აღმსრულებელი ორგანოა და ერთი საერთო (სა-
დლევატო) კრებიდან მეორემდე განაგებს სალაროს ყველა საქმეს. გამგეობას
ირჩევს საერთო (სადლევატო) კრება ერთი წლით, არა ნაკლებ, ვიდრე სამი
წევრის შედგენილობით, და მათი კანდიდატებით, რომელთა რიცხვიც უნდა
შეადგენდეს გამგეობის წევრობა საერთო რიცხვის ერთ მესამედს.

გამგეობის სხდომები მოიწვევა საჭიროების მიხედვით.

24. სალაროს არჩეული მომუშავეები, როგორც საერთო წესი, ასრულებენ
თავიანთ მოვალეობას სალაროში უსასყიდლოდ, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში,
საერთო (სადლევატო) კრების დადგენილებით, მათ შეიძლება დაენიშნოთ სა-
თანადო გასამრჯელო.

გ. სარევიზიო კომისია.



25. სარევიზიო კომისიის აირჩევს საერთო (სადელეგატო) კრებას საინსპექციურის და ორი მათი კანდიდატის შედგენილობით. სარევიზიო კომისია, კვარტალის განმავლობაში ერთხელ მაინც, დაწვრილებით შეამოწმებს სალაროს გამგეობის მუშაობას, კერძოდ, ფულადი და ნატურალური სახსრის წესიერ ხარჯვას და შენახვას, სალაროს ხელთქონებულობას და ფულად საბუთებს; აგრეთვე განიხილავს სალაროს მოქმედების საინგარიშო ცნობებს და გეგმებს და წარუდგენს მათ შესახებ დასკვნას საერთო (სადელეგატო) კრებას და სხვ.. სარევიზიო კომისიის უფლება აქვს მოახდინოს რევიზია ყოველთვის.

სალაროს მოქმედების ყველა ძირითადი დარგის შესახებ სარევიზიო კომისია შეადგენს აქტს, რომლის ასლიც გაეგზავნა სოფლის საბუკოს, კოლმეურნეობის გამგეობას და სოციალური უზრუნველყოფის სარაიონო ინსპექტორს.

უკეთეს აღმოჩენილ იქნა გამგეობას ან გამგეობის ცალკეული წევრის უკანონო მოქმედება, სარევიზიო კომისია დაუყოვნებლივ შეადგენს ოქმს და აღმოჩენილ ბოროტმოქმედებას აცნობებს ზემოაღნიშნულ ორგანოებს, ხოლო სათანადო შემთხვევაში აცნობებს აგრეთვე უახლოეს სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოს.

სარევიზიო კომისია თვალსუბს ადევნებს სალაროს ფონდების წესიერ ხარჯვას მათი მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით.

VI. სალაროს ანგარიშგება და ანგარიშწარმოება.

26. სალაროს ანგარიშწარმოება მიმდინარეობს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ გამოცემული ინსტრუქციით.

სალაროს მოქმედების ანგარიშს, სარევიზიო კომისიის დასკვნითურთ, სალაროს გამგეობა წარუდგენს დასამტკიცებლად სალაროს წევრთა საერთო (სადელეგატო) კრებას, და ამავე დროს ანგარიში გაეგზავნება კოლმეურნეობის გამგეობას და სოციალური უზრუნველყოფის სარაიონო ინსპექტორს.

სალაროს გასული წლის ანგარიშს და მომავალი წლის მოქმედების საფინანსო-ოპერატიულ გეგმას განიხილავს და დაამტკიცებს სალაროს წევრთა საერთო (სადელეგატო) კრება ახალი წლის პირველი თვის განმავლობაში. ამ მასალებს გამგეობა გამოჰკიდებს საყოველთაო ცნობისათვის რამდენიმე დღით ადრე სალაროს წევრთა საერთო (სადელეგატო) კრებამდე.

VII. სალაროს მოქმედება მიხი წევრების კულტურული და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ხფეროში.

27. თავისი წევრების კულტურულ და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სალარო ყოველმხრივ ხელს უწყობს კოლ-

მეტურნეობას შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ და განაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებაში, საბავშვო ბაგებისა და მშობიარობის დროს დახმარების მოწყობაში, სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა დაარსებაში, საზოგადოებრივი კვების მოწყობაში და სხვ..

VIII. სალაროს ურთიერთობა კოლმეტურნეობის გამგეობასთან, სასოფლო საბჭოსთან და ხოციალური უზრუნველყოფის ორგანოებთან.

28. რათა სალაროს მეშაობა შეთანხმებულ იყოს კოლმეტურნეობის მოქმედებასთან, სალაროს მეშაობის გეგმა, ვიდრე იგი სალაროს წევრთა კრებას წარედგინებოდეს, შეთანხმებულ უნდა იქნეს კოლმეტურნეობის გამგეობასთან, და სალაროს გამგეობის წევრთა შედგენილობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს კოლმეტურნეობის გამგეობის ერთ-ერთი წევრი.

29. თავის მოქმედებას სალარო ანხორციელებს სოფლის საბჭოს უშუალო ხელმძღვანელობით და მეთვალყურეობით და სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანოს საერთო ხელმძღვანელობით და კოტროლით.

IX. სალაროს წესდების რეგისტრაცია.

30. სალაროს წესდება დარეგისტრირებულ უნდა იქნეს სოციალური უზრუნველყოფის ინსპექტორის მიერ, ხოლო უკეთეს იგი არ არსებობს, — სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

რეგისტრაციის მომენტიდან სალაროს ეძლევა ფურიდიული პირის უფლება.

31. სალაროს აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდებით.

32. სალაროს წესდების რეგისტრაციის წესი, გაერთიანებული სალაროს მოწყობის პირობები (მუხ. 2) და კოლმეტურნეთა საურთიერთო დახმარების სალაროების მოწყობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

203. დადგენილება ს.კ.ს.

კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისა და საბინაო კოოპერაციის სისტემის საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა გაძლიერების შესახებ.

რადგანაც საკუთარი საბრუნავი სახსარი იმ ორგანიზაციებისა, რომელნიც საქართველოს სსრ-ში, სანარდო მუშაობის ხელშეკრულებების საფუძველზე, ან-ბორციელებენ საბინაო, კომუნალური და სხვა არასამრეწველო მშენებლობას, საკმარისი არ არის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, ამ სახსრის 1933 წელს გადიდების მიზნით, ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს სავალდებულო უკუდაუბრუნებელი ხუთპროცენტიანი ანარიცხები სანარდო სამუშაოს (შეკვეთა) ღირებულებაზე რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის, რომელნიც გადასცემენ ზოლმე საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებს სანარდო მუშაობის ხელშეკრულებით საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისა და საბინაო კოოპერაციის სისტემის საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებს, და ეს ანარიცხები მიიქცეს აღნიშნული საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა გასაძლიერებლად.

2. ზემოაღნიშნული თანხების საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების საბრუნავ სახსარში გადარიცხვის წესი და ვადები განისაზღვრება საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან და საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკთან შეთანხმებით, გამოკვეთილი განსაკუთრებული ინსტრუქციით.

3. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს—გამოსცეს, ზემოაღნიშნულ ორგანოებთან შეთანხმებით, ერთი დეკადის ვადაზე ამა დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ინსტრუქცია.

დაევალოს შემკვეთ ორგანიზაციებს—დასდონ ერთი დეკადის ვადაზე, ზემოაღნიშნული ინსტრუქციის დამტკიცების შემდეგ, სამშენებლო ან საპროექტო სამუშაოების თაობაზე დადებულ ხელშეკრულობათა დამატებად, შეთანხმებანი-ნარდად მომუშავე ორგანიზაციებთან ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული უკუდაუბრუნებელი ანარიცხების შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგილე ა. უოჟიკაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შოშიახია.

1933 წ. მაისის 27.

ტფილისი.

204. დადგენილება ს.კ.ს.



1933 წლისთვის საბინაო მშენებლობის ღირებულების ლიმიტების განსაზღვრა

„1933 წლისთვის საბინაო მშენებლობის ღირებულების განსაზღვრის წესის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. მარტის 26-ის თარიღისა და 559 №-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 24 №-ი, მუხ. 142) და ამ კანონის განსავითარებლად გამოცემული ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აპრილის 16-ის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ-ში საბინაო მშენებლობის საშუალოდ განწონილი ღირებულება კუბიკურ მეტრზე განსაზღვრულ იქნეს შემდეგი რაოდენობით:

- ა) აგურის შენობისათვის (4 სართული და მეტი) 33 მან. და 50 კ.
- ბ) ბუნებრივი ქვის შენობისათვის (3 სართული) 32 " " 50 "
- გ) ხელოვნური ქვის შენობისათვის (4 სართული) 31 " " 50 "
- დ) კარკას-ფიბროლიტური შენობისათვის (1—2 სართ.) 26 " " 50 "
- ე) თიხის შენობისათვის (ბუნებრივი და სხვ. 1—2 სართ.) 23 " " 00 "

2. დაწესებულ იქნეს შემდეგი გარდამავალი კოეფიციენტები საქართველოს სსრ რაიონებში საბინაო მშენებლობის ღირებულების ლიმიტის განსაზღვრისათვის კუბიკურ მეტრზე:

- ა) ქალ. ტფილისში 1
- ბ) აფხაზეთის ავტ. სსრ-ში 1,20
- გ) სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქსა და ყვარლისა, ლაგოდეხისა, ალბულახ-მანგლისისა, ბორჩალოს, ლუქსემბურგისა, ხონისა, მარტვილისა და ჩოხატაურის რაიონებში და საქართველოს ნავთისათვის . 1,05
- დ) ქვემო-სვანეთისა, ზემო-სვანეთისა, ცაგერისა, ამბროლაურისა და ონის რაიონებში 1,20
- ე) დღუშეთისა, ხევისა, თიანეთისა, ბაშკინეთისა, ახალქალაქისა, ბოგდანოვკისა, ტოლოშისა, ტოლოშისა, ახალციხისა და ადიგენისა რაიონებში . 1,10
- ვ) სხვა რაიონებში 0,90

3. ზემოაღნიშნულ ლიმიტებში შეტანილია შენობის გაწყობილობის და მოართულობის შემდეგი ელემენტების ღირებულება:

- ა) განათება და გამოიწოვი ვენტილაცია 2 მან. და 35 კაპ.
- ბ) ელექტროგანათება — " " 45 "
- გ) წყალსადენი და კანალიზაცია 1 " " 45 "
- დ) ფასადის დამუშავება — " " 60 "
- ე) ქსილოლიტური იატაკები საპირფარეშოსა და პირსაბანოში — " " 18 "
- ვ) განჯინები კედელში და ცივი განჯინები — " " 40 "
- ზ) შეღებვა — " " 49 "

4. გარეგანი კეთილმოწყობისა, საეზოვო შენობებისა და პირველი წლის რემონტის ღირებულება და აგრეთვე ნაკეთის გამოყენებისა და პროექტირებასათვის საჭირო ხარჯები განისაზღვრება განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვებით; ამასთანავე, გარეგანი კეთილმოწყობისა, საეზოვო შენობებისა და პირველი წლის რემონტის ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს შენობის საერთო ღირებულების 7,5%-ს.

5. შესწორებით კოეფიციენტებს დამატებითი სახის კეთილმოწყობისა და შენობის თავისებურობისათვის, რაც აღნიშნული არ არის ამა დადგენილებაში, აგრეთვე გარდამავალ კოეფიციენტებს სხვა სახის არასამრეწველო შენობების კუმბოეტრობითი ღირებულების განსაზღვრისათვის აწესებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი.

6. განსაკუთრებით მაგარი ნიადაგის დამუშავებისა, ნიადაგის თვისებით გამოწვეული საძირკველის სიღრმის გადიდებისა, სპეციალური განწყობილობისა (აბანო; სამრეცხველო, საავადმყოფო და სხვ. მისთ.) მაღარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა და სხვა არაკუბაეტრო სამუშაოთა ღირებულება, აგრეთვე მასალის გადაზიდვის დამატებითი ღირებულება (ლიმიტით გათვალისწინებული 3 კილომეტრის გარეშე) განისაზღვრება განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვებით.

7. ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი მშენებელი და სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც ანხორციელებს არასამრეწველო შენობების მშენებლობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სანარდო ან სამეურნეო წესით, მოვალეა იხელმძღვანელოს აღნიშნული ლიმიტები საორიენტრო და საწინასწარო ხარჯთაღრიცხვების შედგენის დროს და აგრეთვე საწარმოო ხარჯთაღრიცხვების შემოწმების დროს.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკს—დააღინანსოს საწარმოო ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული სათანადო სამუშაოები იმ პირობით, უკეთუ კუბაეტრო სამუშაოთა საბარჯთაღრიცხეო ღირებულება არ აღემატება ამა დადგენილების თანახმად გამოანგარიშებულ ლიმიტებს. გარდამავალი მშენებლობისათვის ასეთი შემოწმება ხარჯთაღრიცხვისა ლიმიტებთან ბანკმა უნდა აწარმოოს მზადყოფნის პროცენტის ანგარიშში მიღებით.

9. იმ არასამრეწველო საშენებლის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, რომლის კუბაეტროს ღირებულებაც, რაიმე თავისებურობის გამო, არ შეიძლება მოთავსდეს ამა დადგენილების საფუძველზე გამოანგარიშებული ლიმიტების ფარგლებში, კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დასკვნითურთ, უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

10. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. თებერვლის 6-ის დადგენილება საბინაო მშენებლობის ღირებულების ლიმიტების შესახებ გაუქმებულ იქნეს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგილე ა. ფოფკაშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი რ. შომაზია.

1933 წ. მაისის 17.

ტფილისი.



კინო-სურათისთვის საუკეთესო ხცენარიუმსა, ლიბრეტოსა და თემაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ.

ენიდან მშრომელთა ფართო მასების კულტურულ-პოლიტიკური განვითარებისათვის კინოს უაღრესი მნიშვნელობა აქვს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, კინო-ფილმის მხატვრული ღირსების ამაღლების მიზნით, ადგენს:

1. გამოცხადებულ იქნეს კონკურსი კინო-სურათისათვის საუკეთესო სცენარიუმზე, ლიბრეტოზე და თემა-სიუჟეტზე.

2. კონკურსზე წარმოდგენილი ნაწარმოები უნდა ეხებოდეს შემდეგ პრობლემებს:

ა) ახალი ადამიანი სოციალისტურ წარმოებაში (შრომის გმირი, მუშა-დამკვერი, შრომის ახალი სოციალისტური ფორმები);

ბ) საბჭოთა კავშირის დაცვა და მუშათა და გლეხთა არმია (ეროვნული ნაწილების მასალის მიხედვით);

გ) საქართველოს ტექნიკური და ჰუმანიტარული ინტელიგენცია სოციალისტური მშენებლობის სამსახურში;

დ) მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდა (ენარი: დრამა, კომედია, სატირა—თვით ავტორის არჩევით).

3. კონკურსზე წარმოდგენილ საუკეთესო ნაწარმოებთა დასაპრემიერებლად დაწესებულ იქნეს შემდეგი პრემიები:

ა) სცენარიუმისათვის—ერთი პრემია 6.000 მან. რაოდენობით (პირველი პრემია), შემდეგ—4.000 მან. რაოდენობით (მეორე პრემია) და 2.000 მან. რაოდენობით (მესამე პრემია);

ბ) ლიბრეტოსათვის—ერთი პრემია 3.000 მან. რაოდენობით (პირველი პრემია), შემდეგ—1.000 მან. რაოდენობით (მეორე პრემია) და 500 მან. რაოდენობით (მესამე პრემია);

გ) თემა-სიუჟეტისათვის—ერთი პრემია 1.500 მან. რაოდენობით (პირველი პრემია), შემდეგ—1.000 მან. რაოდენობით (მეორე პრემია).

დაპრემიერებული ნაწარმოების ავტორი, პრემიის გარდა, მიიღებს დაპრემიერებული ნაწარმოებისათვის აგრეთვე საავტორო ჰონორარს მაქსიმალური განაკვეთით.

4. ნაწარმოებთა კონკურსზე წარდგენის ვადად დაინიშნოს 1933 წლის სექტემბრის 1-ლი.

5. კონკურსზე წარდგენილ ნაწარმოებთა განსახილველად და პრემიების გასანაწილებლად მოწოდებულ იქნეს ქური შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე ამხ. ბეღია და წევრები: ამხანაგნი თითბერიძე, დუდუჩავა, მგალობლიშვილი

(მდივანი), პ. საყვარელიძე, ა. ესაკია, პოლოსოვი, თანიაშვილი, ბუნიათოვე, თა-
თარიშვილი და კიაურელი.

წ. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს — გამოსცეს სი-
მი დღის ვადაზე, „სახკინმრეწეთან“ შეთანხმებით, ინსტრუქცია კონკურსის
სატარებლად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ჟოფიაშვილი.

საქ. ს.ს.რ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1933 წ. მაისის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 129 №-ში 1933 წ. ივნისის 6.

ფაზი 40 კაპ.